## იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

დამატებითი (**Minori**) სპეციალობის
**საგანმანათლებლო პროგრამა**

# სტილისტ- კორექტორი
# (Stylist-Corrector)

**პროგრამის ხელმძღვანელი:**

**ნუნუ გელდიაშვილი,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით

1. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ
   ოქმი №15, 30 მაისი, 2011 წ.

   უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
   სამსახურის ხელმძღვანელი: /პროფ. დ. მჭედლიშვილი/

2. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
   ოქმი №6, 7 ივნისი, 2011წ.

   ფაკულტეტის დეკანი: /ასოც. პროფ. მ. ცირეკიძე/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
   ოქმი №16, 14 ივნისი, 2011წ.

   უნივერსიტეტის რექტორი: /თ. ჯავახიშვილი/

თელავი, 2011

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

კათედრა: **ქართული ფილოლოგიის**

საგანმანათლებლო პროგრამა: **stilist-koreqtori**
**Stylist-Corrector**

პროგრამის ხელმძღვანელი: **ნუნუ გელდიაშვილი,** ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,Hქართული ფილოლოგიის კათედრის სრული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით
ელ. ფოსტა: nunu.geldiashvili@gmail.com; ტელ. 593-14-64-05.
(CV იხილეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ.გვერდზე)

აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

პროგრამის ტიპი: **დამატებითი (Minor) სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა**

სწავლების ენა: **ქართული**

პროგრამის მოცულობა:
პროგრამა მთლიანად მოიცავს **60** კრედიტს (ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს) და ხორციელდება სამი წლის განმავლობაში. ასეთი დათვლა შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას - ECTS. სასწავლო კურსები (თითოეული 5 კრედიტი) - სავალდებულო (**40** კრედიტი) და არჩევითი (**20** კრედიტი- მათი წილი მცირეა სავალდებულო საგნებთან მიმართებით), რომელიც მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას (სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით მესამედს, ხოლო ორი მესამედი _ დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის), ერთობლივად უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის თანხვედრასა და ჰარმონიულობას. მიღებული ცოდნა და კომპეტენცია სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, შექმნას სტილისტურად გამართული და სალიტერატურო ნორმებს ყოველმხრივ დაქვემდებარებული საკონფერენციო/საბაკალავრო ნაშრომი და წარმატებულად მოახდინოს მისი პრეზენტაცია პროფესიული საზოგადოების წინაშე.

სწავლების formati:
შედეგების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სწავლების ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება: ლექცია, პრაქტიკული სამუშაო, საშინაო დავალება, პრეზენტაცია, დებატი...
სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებთან დამატებითი (საჭიროებებიდან გამომდინარე) ინდივიდუალური საკონსულტაციო მუშაობა - კვირაში 2 სთ. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკონსულტაციოდ გამოყოფილი დრო გადანაწილდება შესაბამისად თითოეულ სტუდენტზე.

საჭიროების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა.

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით, რომლებიც ეფუძნება უმაღლესი განათლების შესახებ კანონსა და უნივერსიტეტის წესდებას, არის ნათელი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას; კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება ძირითადი და დამატებითი სპეციალობის არჩევისა და შეცვლის შესახებ დებულებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დამატებითი სპეციალობის არჩევის ფორმების საუძველზე.
პროგრამაზე დაშვების მკაცრი წესი არ არსებობს. არჩევა ხდება მეორე სემესტრის ბოლოს უშუალოდ სტუდენტის მიერ. არჩევის პროცესი არის სრულიად გამჭვირვალე. სტუდენტები აფიქსირებენ არჩევანს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ფორმებში, რომლებიც ინახება სტუდენტის პირად საქმეში. პროგრამაზე სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება 8 სტუდენტით, მაქსიმალური - 25-ით. კონკურსის შემთხვევაში ხდება სტუდენტებთან გასაუბრება ქართული ენის გრამატიკის პრაქტიკულ საკიხებში და პრიორიტეტი ენიჭება შედარებით მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს. სწავლა იწყება მესამე სემესტრში.
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროგრამის ფარგლებში არსებული ყველა დოკუმენტი ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და, საჭიროებისამებრ, ხორციელდება მათი მიზანმიმართული განახლება.

## პროგრამის მიზანი:

პროგრამა წარმოადგენს სასწავლო კომპონენტების ერთობლიობას, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური, მოაზროვნე, წიგნიერი სპეციალისტის (ბაკალავრის) აღზრდა/ჩამოყალიბება, რომელიც თავისუფლად შეძლებს:

- სახელმწიფო, კერძო, სამოქალაქო თუ სამართლებრივ სფეროში მოღვაწეობას;
- სალიტერატურო ენის ნორმების დაცვითა და შესაბამისი ტერმინოლოგიის მიზნობრივი გამოყენებით ნებისმიერი ტიპის (საქმიანი, სამეცნიერო, პუბლიცისტური...) ტექსტის სტილისტურად გამართვას, რედაქტირებასა და კორექტურას;
- ოფიციალური დოკუმენტების (საქმის ქაღალდების) სწორად წარმოებას;
- პრეზენტაციებისა და დებატების აკადემიურად წარმართვას პროფესიულ საზოგადოებაში.

ასევე, პროგრამა მიზნად ისახავს იმ უნარ-ჩვევების დაუფლებას, რომელიც დაეხმარება პიროვნების აკადემიურ და პროფესიულ ზრდას და შემდგომ მის აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას.

პროგრამის მიზნები და ამოცანები გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან (სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა; მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობა; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროგრამის ეფექტიანი განხორციელება; შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება) და ხელს უწყობს ისეთი პიროვნული ღირსებებისა და მოქალაქეობრივი ღირებულებების სრულყოფას (ეროვნების მიუხედავად), როგორიცაა, მაგალითად: ჰუმანურობა, კაცთმოყვარეობა, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა, სხვისი პროფესიონალიზმისა და კულტურული ფასეულობების აღიარება; შემდგომ ამის საფუძველზე კი საკუთარი შემოქმედებითი უნარების განვითარება დადემოკრატიული პრინციპებით ცხოვრება.

პროგრამის მიზნები, ვფიქროთ, მიღწევადია, რადგან მასში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი მიმართულია პროგრამის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების მქონე კადრის მომზადებაზე. მათში ნათლად და მკაფიოდ არის ფორმულირებული ყველა ის გამოსამუშავებელი უნარი, რომელიც დაეხმარება (და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტიც აღმოჩნდება) კურსდამთავრებულს დასაქმებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება და განხორციელება განაპირობა იმან, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში წიგნიერი ახალგაზრდებისადმი ინტერესი მეტად აქტუალური გახდა, ხოლო შრომის ბაზრის მოთხოვნა (სასწავლო და სამეცნირო კვლევითი დაწესებულებები, მთარგმნელობითი და ტურისტული ბიუროები, მუზეუმები, გამომცემლობა, რედაქცია, ადმინისტრაციული ან საოფისე სამსახურები, მასმედია და სხვა) სახელმწიფო ენის საუკეთესოდ მცოდნე პროფესიონალებისადმი დღითი დღე მატულობს.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ის ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს შესაბამისი აუცილებელი ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალი და შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

პროგრამა, საჭიროების შემთვევაში, დაექვემდებარება მოდიფიცირებას განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და მოთხოვნების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს სიახლეების დანერგვას. პროგრამის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა და პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებები და ინტერესები.

**swavlis Sedegebi:**

| | ზოგადი კომპეტენციები | დარგობრივი კომპეტენციები |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | • ქართული სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთმიმართების საკითხების საბაზისო ცოდნა;<br>• სტილისა და პუნქტუაციის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;<br>• ანალიზის და სინთეზის უნარი;<br>• შემოქმედებითი ძიების უნარი;<br>• დამოუკიდებელი თუ ჯგუფური მუშაობის უნარი;<br>• ინტელექტუალური უნარ-ჩვევები. | • მართლწერა-მართლმეტყველების ძირითადი პრინციპები;<br>• წინადადების მოდალობისა და სიტყვათგანლაგების პრინციპები;<br>• ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები.<br>• სხვადასხვა ტიპის ტექსტთა სტილისტურად გამართვა და კორექტირება;<br>• საქმის ქაღალდების წარმოება. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | • შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება | • ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთანთან დაკავშირებული პრობლემების სწორად შეფასება, ანალიზი;<br>• პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა, მათი გადაჭრის ახალი გზების შემუშავება;<br>• ლექსიკური მარაგისა და ენის გამომსახველობითი საშუალებების მიზანმიმართულად გამოყენება. |
| დასკვნის უნარი | • დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | • პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისა და სწორი ლოგიკური დასკვნის გაკეთების უნარი;<br>• ინტელექტუალური დასკვნის უნარ-ჩვევები. |
| კომუნიკაციის უნარი | • პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია | • წარმატებული საქმიანი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. |
| სწავლის უნარი | • პრობლემების ამოცნობა და შესაძლო გადაჭრის გზების მოძიება;<br>• ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტების განხორციელება.<br>• სწავლის საჭიროების განსაზღვრა | • შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება;<br>• შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. |
| ღირებულებები | • პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი.<br>• საგანმანათლებლო საქმიანობაში არსებული ღირებულებების კრიტიკული გააზრების და ამ ღირებულებათა განვითარების უნარი | • ითვალისწინებს და პატივს სცემს სხვის აზრს,<br>• აცნობიერებს თანადროული მუშაობის აუცილებლობას.<br>• ფასეულობების გააზრებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი. |

## swavlis Sedegebis ruკa

| სასწავლო კურსები / მოდულები | კ ო მ პ ე ტ ე ნ ც ი ე ბ ი ს ჩ ა მ ო ნ ა თ ვ ა ლ ი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ცოდნა და გაცნო-ბიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკ აციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებ ები |
| ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება | X | X | X | | X | X |
| მართლწერა-მართლმეტყველების ძირითადი პრინციპები | X | X | X | | X | |
| ლექსიკური სტილისტიკა | X | X | X | X | X | |
| მორფოლოგიური და სინტაქსური სტილისტიკა | X | X | X | X | X | X |
| ქართული წინადადების მოდალობა და სიტყვათ განლაგების პრინციპები | X | X | | | X | X |
| ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები | X | X | X | X | X | X |
| პუნქტუაცია | X | X | | | X | X |
| პრესის ენა დასტილი | X | X | X | | X | X |
| ა)ენისგამომსახველობითისაშუალებები და სტილისტიკური ფიგურები<br>ბ) ენა და კულტურა | X | X | X | X | X | X |
| ა) საქმიანი ურთიერთობების ტექნოლოგიები<br>ბ) ოფიციალური დოკუმენტების სტილი და კორექტირება | X | X | X | X | X | X |
| ა)ტექსტის სტრუქტურული ანალიზი და რედაქტირება<br>ბ) მწერლის ენისა და სტილის საკითხები | X | X | X | | X | |
| ა) ქართული სამწიგნობრო ხელოვნების საკიხები<br>ბ) ქართული დამწერლობათ-მცოდნეობის საკითხები | X | X | X | X | X | X |

**სწავლი შედეგების მიღწევის მეთოდები:** აღწერის, ანლიზისა და სინთეზის.
სწავლება ძირითადად მიმდინარეობს ინტერაქტიური და ინფორმაციული მეთოდებით; ინდუქცია-დედუქციის პრინციპებზე დაყრდნობით.

**დასაქმების სფეროები:**
პროგრამის სწავლის შედეგები - თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები - უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. მათ შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ სექტორში: სასწავლო და სამეცნირო-კვლევითი დაწესებულებები; მთარგმნელობითი და ტურისტული ბიუროები, მუზეუმები, გამომცემლობა, რედაქცია, საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურები; ადმინისტრაციული ან საოფისე სამსახურები, მასმედია, კანცელარია; სამდივნო... ხოლო, სურვილის შემთხვევაში, წარმატებით განაგრძონ სწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში, შემდგომ კი - დოქტორანტურაში.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მისიით განსაზვრული საქმიანობის განხორციელებას.
უნივერსიტეტში არსებობს შესატყვისი ინფრასტრუქტურა: თესაუს ბიბლიოთეკა (უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა; ბიბლიოთეკაში არსებული ფონდი ძირითადად შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას); სამკითხველო დარბაზი; ასევე, საპრეზენტაციო დარბაზები და კომპიუტერული ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სამეცნიერო ლიტერატურით, ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო:

- ✓ ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- ✓ სასმელი წყლით უზრუნველყოფის 24 საათიანი მომსახურების რეჟიმი;
- ✓ კვების ბლოკი;
- ✓ საინტერნეტო სივრცე;
- ✓ გათბობის საშუალებები;
- ✓ სველი წერტილები.

სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის უნივერსიტეტში გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები, რომელიც მოწმდება ადმინისტრაციის მიერ:

- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ✓ ევაკუაციის გეგმა;
- ✓ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი ;
- ✓ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი;

## სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულა თა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები ხორციელდება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით: 1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით. შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა. შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა. შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) დაიწეროს არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდეს შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს. შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა. სასურველია, რომ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევდეს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვროს შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდეს არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცეს სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს. დასკვნითი გამოცდა ჩატარდეს წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდეს არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდეს უწყისში და გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

### შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლში მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებებით.

## სასწავლო კურსების ანოტაციები

### ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება
კურსის მიზანია სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის შესწავლა; სხვადასხვა პერიოდის მწერალთა ქართული სალიტერატურო ენისადმი დამოკიდებულების გაცნობა; ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სიღრმისეულად დაუფლება. მათი გამიჯვნა ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებისაგან; ბარბარიზმების, ჟარგონებისა და სხვა მიუღებელი ფორმებისაგან ტექსტების სათანადოდ გასწორება. საკორექტურო ნიშნების შესწავლა.
### მართლწერა-მართლმეტყველების ძირითადი პრინციპები
კურსის მიზანია ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითადი პრინციპების საფუძვლიანი შესწავლა; თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების დაუფლება; იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც საჭიროა ზეპირი მეტყველებისა თუ წერის პროცესში წარმატებული პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით.
### ლექსიკური სტილისტიკა
კურსის მიზანია ქართული ენის ლექსიკური მარაგის შინაგანი შესაძლებლობების მრავალგვაროვნების შესწავლა და მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია. მიზნიდან გამომდინარე, კურსის ამოცანას შეადგენს: ა) სიტყვის ძირითადი მნიშვნელობების დადგენა; ბ) სიტყვის ნეიტრალურობის ცვლისა და მისი ემოციურობის სხვადასხვაობის გარკვევა; გ) ახალ-ახალ ენობრივ ერთეულთა გამოყენების უნარის გამომუშავება; დ) ტექსტის კორექტირების პროცესში სიტყვათა სტილისტური ფუნქციით სწორად გამოყენება_შერჩევაზე დაკვირვების უნარი.
### მორფოლოგიური და სინტაქსური სტილისტიკა
კურსის მიზანია გრამატიკული სტილისტიკის, კერძოდ, მეტყველების ნაწილების სტილისტური თვალსაზრისით შესწავლა; მათი სწორად გამოყენების წესების ათვისება და ამ მხრივ ტექსთა კორექტირების უნარების გამომუშავება. ასევე სტილისტური სინტაქსის წესების დაუფლება პროფესიული საქმიანობის სრულყოფილად და მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით.
### ქართული წინადადების მოდალობა და სიტყვათგანლაგების პრინციპები
კურსი მიზანად ისახავს ქართული წინადადების მოდალობათა სხვაობისა და წინადადებაში სიტყვათ განლაგების ძირითადი პრინციპების შესწავლას, მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. მიზნიდან გამომდინარე, კურსის ამოცანას შეადგენს: ა) სიტყვათა რიგის, როგორც სტილისტიკის საგნის გარკვევა; ბ) წინადადების წევრთა პოზიციების დაუფლება თხრობითსა და კითხვით წინადადებაში; გ) ტექსტის კორექტირებისას სიტყვათგანლაგებაში დაშვებული შეცდომების დადგენა.
### ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები
კურსი მიზნად ისახავს სალიტერატურო ენის ფუნქციონირების ცალკეული სფეროებისა და ამ სფეროთა სტილებრივი თავისებურებების შესწავლას, მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. მიზნიდან გამომდინარე, კურსის ამოცანას შეადგენს ა) იმ ენობრივ

საშუალებებზე დაკვირვება, რომლებიც სალიტ. ენის ფუნქციონალურ (სპეციალურ) დიფერენციას ემსახურება და გამოხატავს, ბ) ერთი და იმავე ტექსტის განსხვავებული სტილით გადმოცემის დაუფლება; გ) ტექსტის კორექტირებისას ტექსტის სტილთან შეუსაბამო ფორმების გამოვლენის უნარი.

პუნქტუაცია

კურსი მიზნად ისახავს პუნქტუაციის, როგორც წინადადების სწორი ლოგიკური და ინტონაციური დანაწევრების გრაფიკული გამოხატულების შესწავლას, მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. მიზნიდან გამომდინარე, კურსის ამოცანას შეადგენს: ა/. ცალკეულ სასვენ ნიშანთა ხმარების ანალიზი სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციის შემთხვევაში; ბ/. პუნქტუაციისა და ინტონაციის მიმართებების დაუფლება; გ/. პუნქტუაციური შეცდომების გამოვლენა და კორექტურა.

პრესის ენა და სტილი

კურსის მიზანია პრესის ენობრივი და სტილური მხარის შესწავლა მათში შემავალი ძირითადი საკითხების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სალექციო კურსის ამოცანებს შეადგენს: პრესის ენის ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენების განხილვა-გაანალიზება; სინტაქსური თავისებურებების გამოვლენა; სტილური თვალსაზრისით შესწავლა.

სამწიგნობრო ხელოვნების საკითხები

კურსი მიზნად ისახავს, სტუდენტმა მიიღოს ამომწურავი ცოდნა ქართულ დამწერლობათმცოდნეობაში; შეისწავლოს პალეოგრაფიის წყაროები, წელთაღრიცხვის სისტემები, ასომთავრული და ნუსხური ანბანი, ასოთა რიცხვითი მნიშვნელობანი ძველად... მოახდინოს ცოდნის სისტემატიზაცია. მიზნიდან გამომდინარე, კურსის ამოცანას შეადგენს: ა/. უძველესი ქართული წარწერების, ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების ანლიზი;

ბ/. დამწერლობის წარმოშობის შესახებ არსებული თვალსაზრისების მიმოხილვა; გ/. სამწიგნობრო ხელოვნების ისტორის (საწერი მასალის,იარაღისა და საღებავის), დაქარაგმების წესებისა და ნიშნების განხილვა;

ენის გამომსახველობითი საშუალებები და სტილისტიკური ფიგურები

კურსი მიზნად ისახავს ენაში არსებული გამომსახველობითი საშუალებისა და სტილისტური ანუ რიტორიკული ფიგურების შესწავლას. მიზნიდან გამომდინარე, კურსის ამოცანაა:

ა/.ტროპის სახეების ანალიზი;

ბ/. რიტორიკული ფიგურების გამოყენების ცოდნის დაუფლების მიზანთან მიმართებით.

მწერლის ენისა და სტილის საკითხები

კურსის მიზანია მწერლის ენობრივი და სტილური მხარის შესწავლა მათში შემავალი ძირითადი საკითხების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სალექციო კურსის ამოცანებს შეადგენს: მწერლის თხზულებათა ენის ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენების განხილვა-გაანალიზება; სინტაქსური თავისებურებების გამოვლენა; ჟანრობრივად განსხვავებულ ნაწარმოებთა სტილური თვალსაზრისით შესწავლა

საქმიანი ურთიერთობები

კურსი მიზნად ისახავს საქმიანი რიტორიკის და საქმიანი (ფუნქციური) წერის ტექნოლოგიების (თეორიისა და ტექნიკის) შესწავლას, რაც ძირითადად გულისხმობს საქმიანი ურთიერთობების სხვადასხვა სიტუაციაში (მოლაპარაკებები, საუბრები, დიალოგები, პრეზენტაცია, დებატები, პოლემიკა, დისკუსია...) რაციონალური (პროდუქტიული, ეფექტური) სამეტყველო უნარ_ჩვევების დაუფლებას წარმატებული კომუნიკაციის ორგანიზებისა თუ შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

საქმიანი კომუნიკაციისას, როდესაც ხდება აზრების, შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გაცვლა რაიმე საკითხის გადაწყვეტის ან პრობლემის გადაჭრის მიზნით, საუკეთესო (ოპტიმალური) ვარიანტის მოძებნა თუ კონფლიქტის თავიდან აცილება დიდ ნიჭსა და ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ, მიზნიდან გამომდინარე, სალექციო კურსის ამოცანაა საქმიანი კომუნიკაციების ეფექტურობის ტექნოლოგიების გაცნობა _ სამეტყველო ქცევის

ადეკვატურად წარმართვის, მისი ძირითადი ეტაპებისა და იმ ფსიქოლოგიური პრინციპების გაანალიზება, რითაც შესაძლებელი ხდება წარმატებების მიღწევა საქმიანი ურთიერთობებისას. აგრეთვე, კამათის კულტურისა და საჯარო გამოსვლის ოსტატობის დაუფლება ენის კომუნიკაციური ასპექტებისა და არავერბალური კომუნიკაციის გამოვლინებების შესწავლის საფუძველზე.

**ტექსტის სტრუქტურული ანალიზი და რედაქტირება**

კურსი პრაქტიკული ხასიათისაა და მიზანად ისახავს ტექსტის ყოველმხრივ ლინგვისტურ ანალიზს (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური) და დაშვებული შეცდომების გასწორება-რედაქტირებას. იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც პროფესიული საქმიანობის წარმატებულად განხორციელებას შეუწყობს ხელს.

## სtilist-koreqtori (Stylist-Corrector)

## (Minor)

**saswavlo gegmis damatebiTi cxrili** (sul **60** krediti)

| # | sagani | kodi | semestri | kreditebis odenoba | statusi | prerekviziteb i | pedagogebi |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **savaldebulo** | | | **40** | | | |
| 1 | qarTuli saliteraturo enis normebi da cocxali metyveleba | **HH.1.E.O 7** | III | **5** | savaldebul o | ara aqvs | sruli prof. n. geldiaSvilo |
| 2. | marTlwera-marTlmetyvelebis ZiriTadi principebi | **HH.1.E.O 8** | III | 5 | savaldebul o | ara aqvs | asoc.prof l. talaxaZe |
| 3. | leqsikuri stilistika | **H.1.E.29** | IV | 5 | savaldebul o | III semestris saleqcio kursebi | sruli prof. n. geldiaSvili მ. გიგაშვილი |
| 4 | morfologiuri da sintaqsuri stilistika | **H.1.E.30** | V | **5** | savaldebul o | IV semestris saleqcio kursebi | sruli prof. n. geldiaSvili მ. ცისკარიშვილი |
| 5 | qarTuli winadadebis modaloba da sityvaTganlagebis principebi | **H.1.E.31** | VI | **5** | savaldebul o | V semestris saleqcio kursebi | asoc. prof. r. WikaZe |
| 6 | funqcionaluri stilistikis sakiTxebi | **H.1.E.26** | VI | **5** | savaldebul o- | V semestris saleqcio kursebi | sruli prof. n. geldiaSvili |
| 7 | punqtuacia | **H.1.E.32** | VII | **5** | savaldebul o | VI semestris saleqcio kursebi | asoc. prof. r. WikaZe/ sruli prof. |
| 8 | presis ena da stili | **H.1.E.22** | VIII | **5** | savaldebul o | VII semestris saleqcio kursebi | sruli prof. asoc.prof l. talaxaZe |
| | **savaldebulo-arCeviTi** | | | **20** | | | |
| 1 | a) enisgamomsaxvelobiTisaSualebebi da stilistikuri figurebi<br>b) ena da kultura | **H.1.E.33**<br>**H.1.E.34** | IVY | 5 | savald. arCeviTi | ara aqvs | e. filaSvili, akad. doqtori |
| 2 | ა) qarTuli samwignobro xelovnebis sakiTxebi<br>ბ) qarTuli damwerlobaT | **H.1.E.28**<br>**H.1.E.27** | V | **5** | savald. arCeviTi | ara aqvs | e. filaSvili, akad. doqtori |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | mcodneobis sakiTxebi | | | | | | |
| 3 | a) saqmiani urTierTobebis teqnologiebi<br>b) oficialuri dokumentebis stili da koreqtireba | **H.1.E.35**<br><br>**H.1.E.25** | VII | 5 | savald. arCeviTi | ara aqvs | sruli prof.<br>n. geldiaSvili<br>მ.ცისკარიშვილი<br>ფილოლოგიის doqtori |
| 4 | a) teqstis struqturuli analizi da redaqtireba<br>b) mwerlis enisa da stilis sakiTxebi | **H.1.E.17**<br><br>**H.1.E.34** | VIII | 5 | savald. arCeviTi | ara aqvs | sruli prof.<br>n. geldiaSvili<br>მ. ცისკარიშვილი |

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

1. ნუნუ გელდიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით;

2. როინ ჭიკაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით;

3. ლია ტალახაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი სტილისტიკის მიმართულებით;

4. მარი ცისკარიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ქართული ენის მიმართულებით;

5. ელენე ფილაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, მოწვეული მასწავლებელი;

6. მზია გიგაშვილი, ფილოლოგიის კათედრის ტოქტორანტი, ასისტენტ პროფესორი ქართული ენის მიმართულებით.

პროფესორთა CV-ები განთავსებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ.გვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს ასევე სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის მდივანი და ქართული ფილოლოგიის კათედრათა ლაბორანტები.

## sabakalavro damatebiTi (Mainori) programa ,, სტილისტ- კორექტორი”

## Stylist-Corrector

### სასწავლო გეგმა

| | sagnis dasaxeleba | statusi | krediti | kreditebis ganawileba saswavlo wlebisa da semestrebis mixedviT | | | | | | saaTebis ganawileba | | | | | sul saaTebi | saaTebis raodenoba kviraSi | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I s. w. | | II s. w | | IIIs. w. | | sakontaqto | | | | damoukidebeli | | | | |
| | | | | III semestri | IV semestri | V semestri | VI semestri | VI I semestri | VI II semestri | leqcia | praqtikuli | seminari | sul | | | leqcia | პრაქტიკული | sul |
| 1 | ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება | savaldebulo | **5** | 5 | | | | | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 2 | მართლწერა-მართლმეტყველების ძირითადი პრინციპები | savaldebulo | **5** | 5 | | | | | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 3 | ლექსიკური სტილისტიკა | savaldebulo | **5** | | 5 | | | | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 4 | მორფოლოგიური და სინტაქსური სტილისტიკა | savaldebulo | **5** | | | 5 | | | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 5 | ქართული წინადადების მოდალობა და სიტყვათგანლაგებისპრინციპები | savaldebulo | **5** | | | | 5 | | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 6 | ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები | savaldebulo | **5** | | | | 5 | | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | პუნქტუაცია | savaldebulo | **5** | | | | | 5 | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 8 | პრესის ენა და სტილი | savaldebulo | **5** | | | | | | 5 | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 9 | a/. ენის გამომსახველობითი საშუალებები და სტილისტიკური ფიგურები<br>b/. ენა დაკულტურა | savaldebulo arCeviTi | **5** | | 5 | | | | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 10 | ა/. ქართული სამწიგნობრო ხელოვნების საკითხები<br>ბ/.ქართული დამწერლობათ მცოდნეობის საკითხები | savaldebulo arCeviTi | **5** | | | 5 | | | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 1<br>1 | ა/.საქმიანი ურთიერთობების ტექნოლოგიები<br>ბ/. ოფიციალურიდოკუმენტების სტილი და კორექტირება | savaldebulo arCeviTi | **5** | | | | | 5 | | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |
| 12 | ა/.ტექსტის სტრუქტურული ანალიზი და რედაქტირება | სავალდებულო არჩევითი | **5** | | | | | | 5 | 15 | 30 | | 45 | 80 | 125 | | | 3 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბ/. მწერლის ენისა დასტილის<br><br>საკითხები | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | **sul:** | **savldebulo** | **40** | 10 | 5 | 5 | 10 | 5 | 5 | | | | | | 1000 | | | |
| | | **arCeviTi** | **20** | - | 5 | 5 | - | 5 | 5 | | | | | | 500 | | | |
| | **j a m i** | | **60** | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | | | | 540 | 960 | **1500** | | | |